

სუიციდის თემის გაშუქების ხარვეზები ქართულ მედიაში

გიორგი დონაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყონია, ფსიქიატრიის ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი დონაძე.....30.06.2017

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია სუიციდის თემის გაშუქების ხარვეზების შესწავლა ქართულ მედიაში. ჩვენი კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა: პირველ ეტაპზე გამოიყო კონკრეტული საკვლევი საკითხი, გამოვყავით რელევანტური საძიებო სიტყვები (სუიციდი, სუიციდის მცდელობა, თვითმკვლელობა, თვითმკვლელობის მცდელობა), რომელთა დახმარებითაც ინტერნეტ სივრცეში, საძიებო სისტემა გუგლის მეშვეობით მოვიძიეთ სიუჟეტები.

გავანალიზეთ თითოეული საძიებო სიტყვის მეშვეობით მოპოვებული პირველი 10 რელევანტური მასალა. სულ დამუშავდა 40 სატელევიზიო და ინტერნეტპორტალის სიუჟეტები.

კვლევის მეორე ეტაპზე, კერძოდ, სიუჟეტების მოძიების შემდგომ, მათ გასაანალიზებლად და კატეგორიებად დასაყოფად დავეყრდენით გზამკვლევს - სუიციდის გაშუქების სახელმძღვანელო წესებს, რომელიც მომზადებულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ.

სახელმძღვანელოში განხილულია სუიციდის პასუხისმგებლიანი გაშუქების ძირითადი მახასიათებლები და პრინციპები.

სულ განვიხილეთ 40 სიუჟეტი, მათგან მხოლოდ 4 სიუჟეტში არ იყო დარღვევა და რიგ შემთხვევებში იყო მხოლოდ პრევენციული გზავნილები, როგორებიც არის პრედიქტორები და სუიციდალური ქცევის რისკ-ფაქტორები. სიუჟეტში საკითხი მშრალად იყო გაშუქებული.

36 სიუჟეტში დაფიქსირდა 1 დარღვევა მაინც.

კერძოდ, სუიციდის გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპები დაირღვა შემდეგი სიხშირით:

1. მეთოდის დეტალური აღწერა - 18 სიუჟეტი;
2. ადგილის დეტალური აღწერა - 11 სიუჟეტი;
3. თვითმკვლელობის მიზეზების დაკნინება და მათი დაყვანა მხოლოდ რომელიმე ერთ კონკრეტულ საბაზამდე - 8 სიუჟეტი;

4. სუიციდის რომანტიზირება - 6 სიუჟეტი;
5. ლინგვისტური შეცდომები - 3 სიუჟეტი;
6. მითების გავრცელების ხელშეწყობა - 5 სიუჟეტი;
7. სიუჟეტის სათაური - 19 სიუჟეტი;
8. გარდაცვლილის ნათესავების/ახლობლების კომენტარები - 1 სიუჟეტი;
9. სუიციდის ნორმალიზება - 2 სიუჟეტი;
10. სენსაციურად გაშუქება - 19 სიუჟეტი;
11. წამყვან თემად ან პირველ ამბად გაშუქებას ან ხშირი გამეორებები - 7 სიუჟეტი;
12. პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად წარმოჩინება - 0 სიუჟეტი;

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევიდან ჩანს, რომ ყველაზე ხშირად გაშუქებისას ხდება საკითხის გაჟღერება თავად სათაურში და ფაქტის წარმოჩენა როგორც სენსაციის, მას მოსდევს - მეთოდის დეტალური აღწერა, შემდგომ ადგილის აღწერა, სუიციდის რომანტიზება, წამყვან თემად ან პირველ ამბად გაშუქება ან ხშირი გამეორებები, მითების გავრცელების ხელშეწყობა, სუიციდის ნორმალიზება, ყველაზე იშვიათად - თან ახლავს სიუჟეტს ახლობელთა კომენტარები და არ მომხდარა საკითხის პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად წარმოჩენა.

ასევე ჩვენს კვლებაში გაანალიზებული იქნა წლების მიხედვით დარღვევები, მიღებული შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ყველაზე მეტი დარღვევა ფიქსირდება 2015 და 2016 წწ; ხოლო ყველაზე ნაკლები - 2014 წელს.

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ სუიციდის თემის გაშუქების საკითხებში რიგი გამოწვევები აქვს ქართულ მედიას. დარღვეულია გაშუქების სტანდარტი ჩვენ მიერ მოძიებულ სიუჟეტთა 90 %-ში.

სამომავლო პერსპექტივებიდან ჩანს, რომ საჭიროა დაიწყოს აღნიშნულ თემაზე დისკუსია ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მედიის წარმომადგენლების ჩართულობით. მედიის წარმომადგენლებისათვის შემუშავდეს საბაზისო ტრენინგ მოდული, რათა ამაღლდეს ცნობიერება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც სამოვალოდ ხელს შეუწყობს ხარვეზების აღმოფხვრასა და პაუსხისგებლიან გაშუქებას, რადგან როგორც გაშუქების სახელმძღვანელოში არის აღნიშნული, კვლევები იმაზე მიუთითებს, რომ ფრთხილი, კვალიფიციური გაშუქება, პირიქით, დიდ როლს თამაშობს სუიციდის შემცირებაში და საზოგადოებას ეხმარება ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში (სუიციდის გაშუქება; სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის;(2016) თარგმანი: ნინო ჯაფიაშვილი, თიკო ცომაია).

საძიებო სიტყვები: სუიციდი, სუიციდის მცდელობა, თვითმკვლელობა, თვითმკვლელობის მცდელობა.

Abstract

The goal of the thesis is to study the gaps in the coverage of the suicide issue in the Georgian media space. Our research was carried out in several stages: in the first phase, a particular study was discussed, with regard to the topic of research, we included relevant search terms (suicide, suicide attempts, suicide, attempted suicide), by means of which we have found the respective stories via Google. An analysis of the top 10 relevant material obtained through search term was made. Over 40 television and Internet portal stories were processed.

In the second stage of the research, namely, after obtaining the stories and to analyze and categorize them, we guided ourselves by the guideline - Guidelines for Suicide Coverage, prepared by the Council of Charter of Journalistic Ethics of Georgia. The textbook discusses basic characteristics and principles of suicide risk.

In total, we discussed 40 stories, and only in 4 TV stories there was no violation, and in some cases only preventive messages, such as predictors and risk factors for suicidal behavior.

In The issue was covered lightly.

In 36 stories at least one violation was recorded.

In particular, the violation of the principles of the Suicide Coverage Guidelines was conducted with the following frequency:

1. Detailed description of the method has been reported in 18 stories;
2. Detailed description of the place - 11 stories;
3. Decline of the causes of suicide and their removal only for one of the specific reasons - 8;
4. Romantic Suicide - 6;
5. Linguistic errors - 3;
6. Supporting the spread of myths - 5;
7. Title of the story -19;

8. Relatives of the deceased / comments of the closed ones-1;
9. Normalization of Suicide 2;
10. Covering sensationally- 19;
11. Coverage as leading topic or first topic or frequent repeats -7;
12. Provide the problem as a solution -0;

Our research shows that the most frequently covered issue is in the title itself and the fact is presented as a sensation, followed by a detailed description of the method, the description of the place, the romanticizing of the suicide, coverage as leading topic or the first topic or the frequent repetitions, supporting the spread of myths, the normalization of the suicide, Most rarely - accompanied by comments of closed ones and the issue was not shown as solution of the problem.

In our research also were analyzed violations by the years, the results revealed clearly that most of the violations are fixed in 2015 and 2016; And the lowest in 2014. The results showed that there are a number of challenges in covering the issue of suicide in Georgian media space. The standard of reporting is not met in 90% of the stories we have obtained.

From the point of view of future perspectives, it is necessary to start discussions on this issue with the involvement of mental health and media representatives. For the media representatives basic training modules should be developed in order to increase the awareness on these issues. This will help to eradicate the defects and support the responsible coverage in the future, because as it is mentioned in the Coverage Guideline, the research shows that cautious and qualified coverage contributes to the cause of decreasing of suicide rates and helps the society to deepen the knowledge on the important issues of the mental health. (Suicide Coverage; for Journalist Journalists; (2016) Translation: Nino Japiashvili, Tiko Tsomaia).

Search Keywords: suicide, suicide attempt, self-murder, attempted self-murder.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო ადამიანებს, რომლებმაც მომცეს კიდევ მნიშვნელოვანი შანსი განვითარებისა და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლისა.

ჩემო მეგობრებო, კოლეგებო, ლექტორებო დიდ მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ეკა ჭყონიას ჩემს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ადამიანს, ვინც არ იშურებს ენერგიასა და ძვირფასს დროს, რომ იზრუნოს ადამიანებზე და მხარი დაუჭიროს მათ.

დიდი მადლობა ქალბატონ ნინო მახაშვილს, ქალბატონ ნანა ზავრადაშვილს და ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს მხარდაჭერისათვის და გამოცდილების გაზიარებისათვის.

პატივისცემით,

გიორგი დონაძე